უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა

1. **პროგრამის დასახელება –** მოგზაურობისა და ტურიზმის ადმინისტრირება (Travel and Tourism Administration).

2. **პროგრამის მოცულობა** - 12 ECTS.

3. **პროგრამის ხანგრძლოვობა** – 2 თვე.

4. **პროგრამის განხორციელების ადგილი** – თსუ, ტურიზმის საერთაშორისო სკოლა (უნივერსიტეტის ქ. #2).

5. **პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა –** 10 - 25 კაცი.

6. **პროგრამაში ჩართვის წინაპირობები -** სრული ზოგადი განათლება და ინგლისური ენის ცოდნა (მინიმუმ B დონეზე), დარგში მუშაობის გამოცდილება.

7. **პროგრამის ღირებულება –** 600 ლარი.

8. **პროგრამის მიზანი**

   „მოგზაურობისა და ტურიზმის ადმინისტრირება“ წარმოადგენს ტურიზმის სპეციალისტების გადამზადებისა და პროფესიული კომპეტენციების მოკლე ვადაში განვითარება–გაღრმავებაზე ორიენტირებულ პროგრამას. მისი მიზანია სტუდენტისათვის მოგზაურობისა და ტურიზმის ადმინისტრირების უნარ–ჩვევების, რიგი მარკეტინგული უნარების სწავლება, რაც შესაბამის გამოცდილებასთან ერთად, ხელს შეუწყობს ტურისტულ საწარმოებსა და განთავსების ობიექტებში დასაქმებულთა ადმინისტრირების უნარის დახვეწას.

9. **სწავლის შედეგები**

   პროგრამის მონაწილენი შეიძენენ ცოდნას: ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის შესახებ, ტურიზმის მენეჯმენტის, კულტურული ტურიზმის

სეგმენტის მენეჯმენტის, ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტის სპეციფიკის, ოპერირებისა და პროცედურების თაობაზე. შეიძენენ უნარ–ჩვევებს: იმოქმედონ დამოუკიდებლად ტურიზმის დაგეგმვის, განვითარებისა და მენეჯმენტის ამოცანების გადაწყვეტაში, იქონიონ სწორი მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების უნარი და სხვ.

10. პროგრამის კურსები

შესავალი მასპინძლობის ინდუსტრიაში, ტურიზმის მენეჯმენტი, კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი და ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტი.

11. დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულები შეძლებენ იმუშაონ შემდეგ პოზიციებზე: ფილიალის ან მცირე სამოგზაურო სააგენტოს მენეჯერად, ტურისტული ჯგუფის კოორდინატორად, ტურისტული პროდუქტის ზედამხედველად.

12. სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები

სერტიფიკატის მისანიჭებლად საკმარისია ყველა კურსში სათანადო კრედიტის მიღება. სერტიფიკატში მითითებული იქნება კრედიტები და დახარჯული საათები. სერტიფიკატი გამოდგება შეძენილი კომპეტენციების დასადასტურებლად.

13. პროგრამის ანალოგები

- **Florida International University (USA) –**
  http://hospitality.fiu.edu/certificate_programs_non-degree_students.asp
- **Columbia Southern University (USA)**
  www.columbiasouthern.edu/degree/business/certificate/tourism/

14. პროგრამის ხელმძღვანელი – პროფ. მაია მარგველაშვილი